გამარტივებული ელექტრონული ტენდერის სახელმწიფო შესყიდვის
ხელშეკრულება № 36

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას, რომელიც დადებულია გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით

ქ. ბათუმი 10 ივლისი 2014 წ.

ერთის მხრივ, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ,, ბათუმის სასაფლაოები" (შემდგომში ,,შემსყიდველი'') წარმოდგენილი დირექტორის ლაშა ბერძენიშვილის სახით და მეორეს მხრივ, შპს ,,ვეგა" (შემდგომში ,,მიმწოდებელი'') წარმოდგენილი დირექტორის დიმიტრი იმედაძის სახით, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულტერმინთა განმარტებები

1.1 "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - "ხელშეკრულება") - შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
1.2. "ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;
1.3. "შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომში "შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
1.4. "მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება ტენდერში და ახორციელებს მიწოდებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;
1.5 "დღე", "კვირა", "თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.
1.6. ,,მომსახურება'' - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს: დაბა ჩაქვში მდებარე 177 073 კვ.მ მიწის ნაკვეთზე ქ. ბათუმისათვის ახალი სასაფლაოს მოსაწყობად საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვა.
2. დაბა ჩაქვში მდებარე 177 073 კვ.მ მიწის ნაკვეთზე ქ. ბათუმისათვის ახალი სასაფლაოს მოსაწყობად საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების ტექნიკური დავალება განისაზღვრება დანართი #1-ის, ხოლო მომსახურების კონკრეტული სახე, ერთეულის ფასი, მიწოდების ადგილი და ვადა განისაზღვრება დანართი #2-ს (ფასების ცხრილი) შესაბამისად, რომლებიც წარმოადგენენ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
2.3. კლასიფიკატორის კოდი: 71300000;

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 27 500 (ოცდაშვიდიათასხუთასი) ლარი.
3.5. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. მხარეები ანგარიშსწორებას ახორციელებენ ლარებში, უნაღდო ანგარიშსწორებით;

,,შემსყიდველი" ,,მიმწოდებელი"

4.2 მიმწოდებელი ანგარიშსწორებისას ვალდებულია წარმოადგინოს ფაქტიურად გაწეული მომსახურებისა და საქონლის ღირებულება (დღგ-ს გათვალისწინებით);
4.3 ანგარიშსწორება მოხდება ერთჯერადად, მომსახურების საბოლოო მიწოდების შემდეგ, მოწოდებული მომსახურების, მიღება-ჩაბარების აქტის ან/და სხვა დამადასტურებელი დოკუმენტის და საგადასახადო ზედნადებისა ან/და დღგ-ს ანგარიშფაქტურის გაფორმების საფუძველზე, წარმოდგენიდან **15** (თხუთმეტი) საბანკო დღის განმავლობაში;
4.4 წინასწარი ანგარიშისწორება ავანსი არ გამოიყენება;

4.5 იმ შემთხვევაში, თუ განსაზღვრული გარემოებების გამო მიმწოდებლის მიერ მოწოდებული მომსახურების ღირებულებამ არ შეადგინა ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა, შემსყიდველი აუნაზღაურებს მიმწოდებელს მის მიერ ფაქტობრივად მოწოდებული მომსახურების ღირებულებას ხელშეკრულებით განსაზღვრული ერთეული ფასების შესაბამისად. აღნიშნულიდან გამომდინარე მიმწოდებელს არ უნდა გააჩნდეს პრეტენზია აუთვისებელ თანხაზე და მის გადახდაზე.
4.6 <u>დაფინანსების წყარო:</u> თვითმმართველი ქალაქი ბათუმის ბიუჯეტი.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტი მიღებულად ითვლება მხარეებს შორის სათანადო წესით შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
5.3. შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.
5.4. შემსყიდველის მხრიდან მიღება ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს სამეურნეო განყოფილების უფროსი <u>ლაშა ჭყონია.</u>

6. მომსახურების გაწევის ვადა, ადგილი და ფორმა

6.1 გამარჯვებულმა მიმწოდებელმა მომსახურების გაწევა უნდა უზრუნველყოს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 60 კალენდარული დღისა.
6.2 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული მომსახურება უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს;

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;
7.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;
7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;
7,4 მიმწოდებლის გასაწევი მომსახურება მოიცავს:

- საველე კვლევა-ძიებასა და კამერალური სამუშაოებს;
- საპროექტო სამუშაოებს;
- სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებასა და ობიექტის სავარაუდო ღირებულების დადგენას;
- სატენდერო დოკუმენტაციის მომზადებას;
- საჭირო შემთხვევებში დამატებითი მომსახურების გაწევას;
- დეფექტური უწყისებით ხარჯთაღრიცხვების შედგენას;

ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთებას;
საპროექტო ობიექტის ადგილმდებარეობის სიტუაციური გეგმის მასშტაბით **1:1000** ან **1:2000** მომზადებას;
განმარტებითი ბარათის (პრობლემის აღწერა და მისი გადაჭრის გზების განსაზღვრა, შერჩეული მეთოდოლოგიის დასაბუთება) მომზადებას.

„შემსყიდველი“ „მიმწოდებელი“

7.5 დავალების შინაარსი

შესასრულებელი სამუშაოების ხარისხის გაზრდისა და ღირებულების შემცირების მიზნით მიმწოდებელი ვალდებულია:

- ყოველი კონკრეტული საპროექტო სამუშაოები შეასრულოს სამუშაოების კლასიფიკაციის ინსტრუქციის შესაბამისად (საუწყებო სამშენებლო ნორმები) და ტექნიკური დავალებით გათვალისწინებული პირობებით, დასაშვებია ასევე რიგ შემთხვევებში საბაზრო ფასების გამოყენების პრაქტიკაც;
- საკვლევა-ძიებო და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო სამუშაოების დროულად და ხარისხიანად შესრულებისათვის მოახდინოს დაინტერესებულ ორგანიზაციებთან და პირებთან პროექტის საჭირო წინასწარი შეთანხმებები, გარდა სამშენებლო მოედნისა, ტერიტორიის გამოყოფის და გათავისუფლებისა, რომელიც წარმოადგენს შემსყიდველის მოვალეობას;
- პროექტებში გათვალისწინებულ უნდა იქნეს მშენებლობაში მიღწეული და დაგრო-ვილი საერთაშორისო გამოცდილებები ახალი ტექნოლოგიებისა და მოწყობილობების გამოყენებით საქართველოს სპეციფიკური პირობებიდან გამომდინარე;
- დეფექტური უწყისებით ხარჯთაღრიცხვების შედგენისას პროექტების ღირებულება მიმწოდებელმა უნდა განსაზღვროს დასაბუთებული კალკულაციებით და ღირებულებებით;

მიმწოდებელი პასუხისმგებელია ყველა საჭირო საოფისე ფართის, აღჭურვილობის, მოწყობილობის, ტრანსპორტის უზრუნველყოფაზე და ყველა საველე სამუშაოებისათვის საჭირო ტექნიკაზე;

პროექტირების პროცესში საპროექტო დავალებით დანართი #1-ით გათვალისწინებული და გაუთვალისწინებელი სამუშაოების დაპროექტების საკითხი ზეპირი სახით თანხმდება შემსყიდველთან.

7.6 დაპროექტებისას მიმწოდებელი ვალდებულია იხალმმძღვანელოს პროექტების ძირითადი სახელმძღვანელო ნორმატივებით, კერძოდ:

- სნიპ **II-2-80** = შენობა-ნაგებობების პროექტირების ანტისახანძრო ნორმები;
- სნიპ **II-7-81** = სეისმურ რაიონებში მშენებლობა;
- სნიპ **II-9-78** = მშენებლობისათვის საინჟინრო-საძიებო სამუშაოები, ძირითადი დებულებები;
- სნიპ **2-02.0I-83** = შენობა-ნაგებობების საფუძველი;
- სნიპ **2.03.0I-84** = ბეტონისა და რკინა-ბეტონის კონსტრუქციები;
- სნიპ **II-22-81** = ქვისა და არმირებული ქვის კონსტრუქციები;
- სნიპ **II-23-81** = მეტალო-ფოლადის კონსტრუქციები;
- სნიპ **II-25-80** = ხის კონსტრუქციები;
- სნიპ **II-26-76** = სახურავები;
- სნიპ **II-28-73** = სამშენებლო კონსტრუქციების კოროზიისაგან დაცვა;
- სნიპ **2.04.01-85** = შენობის შიდა წყალ-კანალიზაციის სისტემა;
- სნიპ **2.04-02-84** = წყალმომარაგება, გარე ქსელები და ნაგებობები;
- სნიპ **II-32-74** = კანალიზაცია, გარე ქსელები და ნაგებობები;
- სნიპ **II-64-80** = საბავშვო, სკოლამდელი დაწესებულებები;
- სნიპ **544-82** = შენობა-ნაგებობების ელექ. მომარაგების პროექტირების ინსტრუქცია.

სამუშაოების სახეობების და კონსტრუქციული ელემენტების პროექტირებისას მიმწოდებელი ხელმძღვანელობს საქართველოში მიღებული შესაბამისი სხვა ნორმებით და სტანდარტებით.

7.7 მიმწოდებლის პასუხისმგებლობა

7.7.1 მიმწოდებელი პასუხისმგებელია სრულყოფილი საპროექტო – სატენდერო დოკუმენტაციის ხარისხიანად დამუშავებაზე და სამშენებლო სამუშაოების სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენაზე;

7.7.2 იმ შემთხვევაში, თუ მშენებლობის პროცესში აღმოჩნდება გაუთვალისწინებელი დამატებითი სამუშაოების შესრულების აუცილებლობა, ამ დამატებითი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის ხარჯებს მიმწოდებელი იღებს თავის თავზე.

7.7.3 იმ შემთხვევაში, მიმწოდებლის მიერ დაშვებული ხარვეზების გამო მშენებლობის პროცესში აღმოჩნდება სახარჯთაღრიცხვო ღირებულების 10 %-ზე მეტი გაუთვალისწინებელი დამატებითი სამუშაოების შესრულების აუცილებლობა, ამ დამატებითი სამუშაოების ანაზღაურებას მიმწოდებელი იღებს თავის თავზე.

„შემსყიდველი“ „მიმწოდებელი“

7.8 კუთვნილება

7.8.1 ამ დავალებასთან დაკავშირებით მომზადებული ნებისმიერი შესწავლა, ანგარიშები, გრაფიკული ან სხვა მასალები ეკუთვნის შემსყიდველს და რჩება მის საკუთრებაში;

7.8.2 მიმწოდებელს არ აქვს ამ მასალების გამოყენების უფლება სხვა სამუშაოების შესასრულებლად შემსყიდველის წინასწარი თანხმობის გარეშე;

7.8.3 მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს სრული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია **4** ეგზემპლარად და მისი შესაბამისი ელექტრონული ვარიანტი. ელექტრონულ ვარიანტში ტექსტური დოკუმენტაცია (ხარჯთაღრიცხვა, განმარტებითი ბარათი და ა.შ.) უნდა იყოს დაბეჭდილი შრიფტით **Sylfaen**, ხოლო ნახაზები უნდა იყოს **PDF** ფორმატში, ამასთანავე, **PDF** ფორმატის თითოეული ფაილის ზომა არ უნდა აღემატებოდეს **7** მეგაბაიტს.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1 ფორს-მაჟორულიპირობების გარდა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრუ- ლებლობის ან შესრულების ვადისგადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების **0.3%**-ისოდენობით.

8.2 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების **3%**-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

8.3 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8.4 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების **5%**-ის ოდენობით.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

9.4. მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 9.3. პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ.

9.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. დაუძლეველი ძალა

10.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი, დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

„შემსყიდველი“

„მიმწოდებელი“

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულებისენა

12.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამ ეგზემპლიარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა. ორი ეგზემპლიარი გადაეცემა შემსყიდველს, ხოლო ერთი ეგზემპლიარი ინახება მიმწოდებელთან.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2014 წლის 31 დეკემბრამდე.

14. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
ქ. ბათუმი. ლუკა ასათიანის ქ.№25	ქ. ბათუმი, ადლიას ქ. #161
არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი	
„ბათუმის სასაფლაოები”	შპს „ვეგა“
ანგარიშის № GE921BO115156450246001	*ანგარიშის №GE82PC0653600100000495*
საიდენტიფიკაციო კოდი: 445413516	*საიდენტიფიკაციოკოდი: ს/კ 445410056*
მიმღებისბანკი: სს „ლიბერთი ბანკი“-ს ბათუმის ფილიალი.	*მიმღების ბანკი: სს „პროკრედიტ ბანკი“*
ბანკის კოდი: LBRTGE22	*ბანკის კოდი: MIBGGE22*
---	---
დირექტორი	დირექტორი
ლაშა ბერძენიშვილი	დიმიტრი იმედაძე